1965/3

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 20 (289) 21 ივლისი 1965 წელი


9774

## შინაარსი

### ნაწილი I

#### განყოფილება მეორე


402. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ პ. თ. გლებკას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

403. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაიორ ი. ს. სოლოპოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

404. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ვ. პაშოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

405. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ი. ე. ტამის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

406. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ს. პ. ანტონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

407. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ლ. ნ. მარტინოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

408. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. ა. ვალოვის, ს. დ. დმიტრიევის, ნ. ი. მანუკოვსკის, ა. ი. ორლოვისა და ი. ი. სტრელკოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

409. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუბეჟნოეს ქიმიური კომბინატის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

410. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოციალისტური შრომის გმირის თვითმფრინავთა გენერალური კონსტრუქტორის ამხ. პ. ო. სუხოის „ნამგალი და უროს“ მეორე ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ.


#### განყოფილება მესამე


სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.


საქ. სსრ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

411. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

### განყოფილება მეორე

412. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ნ. ძიძიშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
413. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
414. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ი. ხაჯალიასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
415. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. დ. თარხნიშვილ-კვალიაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
416. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
417. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
418. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ი. მღებრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
419. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. ოგანეზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

### განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი I

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 402 მწერალ პ. თ. გლებკას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი პეტრე თევდორეს ძე გლებკა დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 5 ივლისი.
№ 3679-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 403 მაიორ ი. ს. სოლოპოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის მაიორი იური სტეფანეს ძე სოლოპოვი დაჯილდოვდეს წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 ივლისი.
№ 3680-VI.

### ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 404 ამხ. მ. ვ. პაშოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით დნეპროპეტროვსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიხეილ ვასილის ძე პაშოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 ივლისი.
№ 3682-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 405 აკადემიკოს ი. ე. ტამის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი იგორ ევგენის ძე ტამი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 7 ივლისი.
№ 3684-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 406 მწერალ ს. პ. ანტონოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი სერგი პეტრეს ძე ანტონოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 7 ივლისი.
№ 3685-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 407 მწერალ ლ. ნ. მარტინოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ლეონიდ ნიკოლოზის ძე მარტინოვი დაჯილდოვდეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 7 ივლისი.
№ 3686-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 408 ა. ა. ვალოვის, ს. დ. დმიტრიევის, ნ. ი. მანუკოვსკის, ა. ი. ორლოვისა და ი. ი. სტრელკოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავგანწირული მოქმედებისა და გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოვდნენ:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. მილიციის ლეიტენანტი ანატოლ ანატოლის ძე **ვალოვი.**
2. მილიციის მაიორი სიმონ დიმიტრის ძე **დმიტრიევი.**
3. შინაგან სამსახურის პოლკოვნიკი ნიკოლოზ ივანეს ძე **მანუკოვსკი.**
4. მილიციის მაიორი არკადი იაკობის ძე **ორლოვი.**
5. მილიციის კაპიტანი იაკობ ეგნატეს ძე **სტრელკოვი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 7 ივლისი.

№ 3687-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 409 რუბეჟნოეს ქიმიური კომბინატის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ანილინის საღებავის მრეწველობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით **რუბეჟნოეს ქიმიური კომბინატი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 8 ივლისი.

№ 3690-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 410 სოციალისტური შრომის გმირის თვითმფრინავთა გენერალური კონსტრუქტორის ამხ. პ. ო. სუხოის „ნამგალი და ურო“ მეორე ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ

ახალი თვითმფრინავების შექმნის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით სოციალისტური შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის გმირი თვითმფრინავთა გენერალური კონსტრუქტორი ამხ. პავლე ოსიპის ძე სუხოი დაჯილდოვდეს **„ნამგალი და უროს“ მეორე ოქროს** მედლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 9 ივლისი.
№ 3692-VI.

## ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

საბჭოთა ანილინის საღებავის მრეწველობის განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის და რუბეჟნოეს ქიმიური კომბინატის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1965 წლის 8 ივლისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ამ კომბინატის, ანილინის საღებავის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების 100 მუშაკი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან რუბეჟნოეს ქიმიური კომბინატის მუშაკები: წარმოების უფროსი ნ. ს. გრინკევიჩი, ზეინკალთა ბრიგადირი ნ. ს. ზაბირკო, კომბინატის დირექტორი ა. მ. კუზნეცოვი, უფროსი მეაპარატე ა. ე. ობოიანსკი, საამქროს უფროსი ა. ა. პუგაჩი, უფროსი მეაპარატე პ. ა. ტკაჩენკო, უფროსი მეაპარატე ს. ი. ტრიხლები და უკრაინის კპ რუბეჟნოეს ქალაქკომის პირველი მდივანი ა. ა. პავლიუკოვი.

**შრომის წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულია 14 კაცი, **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 22, მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 27 და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 29 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

მუზ. 411
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნაწილი II

### განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**411** **„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვალებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვალებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ მე-3 და მე-11 პუნქტებში და ეს პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საბჭოთა მეურნეობები, სატყეო-სამრეწველო მეურნეობები, რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ რაიონული და სარაიონთაშორისო განყოფილებები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები (გარდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს საგზაო ორგანიზაციებისა) მონაწილეობენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორის, სამშენებლო და საგზაო მექანიზმის გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის მოცულობით წელიწადში, ხოლო საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობები — თითოეული სატვირთო ავტომობილის ერთი დღიური ნორმის მოცულობით წელიწადში, მაგრამ მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის (მთლიანი პროდუქციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისაგან მიღებული საერთო შემოსავლის მოცულობის და ა. შ.) არა ნაკლებ 0,05 პროცენტისა.

იმ შემთხვევებში, როდესაც საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის ის ნაწილი, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს საგზაო სამუშაოებზე, აღემატება მათი კუთვნილი ტრანსპორტისა და მექანიზმების გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის ღირებულებას და ამავე დროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს არა აქვთ საშუალება შეასრულონ ეს ნაწილი თავიანთი ტრანსპორტითა და მექანიზმებით, მათ შეუძლიათ განსხვავება დაფარონ ფულადი შენატანით“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„11. მოწყობილობის, საშენი მასალების, იარაღებისა და ინვენტარის შესაძენად, ტექნიკური პერსონალის შესანახად, კვალიფიციური მუშახელის ხელფასისა და სხვა ხარჯებისათვის, რაც საჭიროა იმ საგზაო სამუშაოთა მოსაწყობად, რომლებიც სრულდება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით, ფულადი სახსრები ყოველწლიურად გამოიყოფა შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტებით, აღნიშნული ორგანიზაციების მიერ შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სულ ცოტა 40 პროცენტის ოდენობით".

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 25 მაისის ბრძანებულება „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის თაობაზე" იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მე-3 პუნქტის რედაქციას.

3. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1965 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1965 წლის 28 ივნისი.

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

**412** **ᲐᲛᲮ. Მ. Ნ. ᲫᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ**

ქართული საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წლისთან დაკავშირებით ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე **ძიძიშვილს მიენიჭოს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1965 წლის 10 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 413 საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მებადურის დღესთან დაკავშირებით, თევზის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის** საპატიო წოდება:

1. ნიკოლოზ ილიას ძე **ვახვახიშვილს** — ტრესტ „საქთევზმრეწვის“ მმართველის მოადგილეს.
2. ნატან ხაიმის ძე **პოდოლსკის**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 10 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 414 ამხ. შ. ი. ხაჯალიასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს შოთა ივანეს ძე **ხაჯალიას** მიენიჭოს **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 13 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 415 ამხ. თ. დ. თარხნიშვილ-კვალიაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართულ საგუნდო ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ამხ. თამარ დიმიტრის ასულ **თარხნიშვილ-კვალიაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 13 ივლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 416 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მებადურის დღესთან დაკავშირებით, თევზის მრეწველობაში ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

1. პოლიკარპე გიორგის ძე **ანდღულაძე.**
2. მაქსიმე ივანეს ძე **ბონდარენკო** — სოხუმის თევზმჭერი კოლმეურნეობის კოლმეურნე.
3. ოთარ დიმიტრის ძე **გვასალია** — საქართველოს საოკეანო თევზსაჭერი სამმართველოს მექანიკოს-მომწესრიგებელი.
4. მამია სულეიმანის ძე **გორგილაძე** — ბათუმის თევზის კომბინატის საამქროს უფროსი.
5. ვიქტორ ანდრიას ძე **ლივდანი** — სოხუმის გემთშემკეთებელი ტექნიკური სადგურის ოსტატი.
6. ვლადიმერ თევდორეს ძე **სტეშენკო** — გაგრის თევზმჭერი კოლმეურნეობის ბრიგადირი.
7. გიორგი ლევანის ძე **სურგულაძე** — ტრესტ „საქთევზმრეწვის" განყოფილების უფროსი.
8. გივი მიხეილის ძე **უკლება** — ბათუმის თევზის კომბინატის № 1151 შავი ზღვის თევზსაჭერი სეინერის კაპიტან-ბრიგადირი.
9. არტემ იოსების ძე **ფირცხალავა** — სოხუმის თევზმჭერი კოლმეურნეობის მეთევზე-ბრიგადირი.
10. აკაკი დავითის ძე **ღვინჯილია** — ტრესტ „საქთევზმრეწვის" განყოფილების უფროსი.
11. შახი ჩოხოს ძე **შენგელია** — სოხუმის თევზის კომბინატის მუშა.
12. ანა ივანეს ასული **ხრომოვა** — გაგრის თევზის ქარხნის საამქროს ბრიგადირი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1965 წლის 10 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 417 ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1965 წელს ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის **ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 13 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 418 ამხ. თ. ი. მღებრიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკური პრესის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს ტელეგრაფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე ამხ. თევდორე ივანეს ძე **მღებრიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 13 ივლისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 419 ამხ. ი. ა. ოგანეზოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საზღვაო ფლოტის კადრების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ბათუმის საზღვაო ნაოსნობის სასწავლებლის დირექტორი ამხ. იაკობ ალექსანდრეს ძე **ოგანეზოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1965 წლის 13 ივლისი.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა ამავე კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ხომიზურაშვილის მოხსენება საქართველოს სსრ ბუნების დაცვის კანონის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

კომისიის მუშაობაში, გარდა მისი წევრებისა, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ვ. პრავდინმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ქაჯაიამ, თბილისის სატყეო ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ვ. გულისაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს, მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიის, სატყეო ინსტიტუტის, ზოოლოგიის ინსტიტუტის და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა.

საბინაო მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა ამავე კომისიის წევრის ი. მღებრიშვილის მოხსენება საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში საბინაო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

საკითხის განხილვაში, გარდა კომისიის წევრებისა, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ვ. პაატაშვილმა, მშენებლობის მინისტრის მოადგილემ მ. ზოდელავამ, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. ბუხრაშვილმა, სახალხო მეურნეობის საბჭოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსმა ა. სულაქველიძემ, მთავართბილმშენის უფროსმა გ. შენგელიამ.

ორივე კომისიამ გადაწყვიტა, საკითხები განსახილველად შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციუზრუნველყოფის კომისიამ განიხილა მეხუთე სესიისათვის წარსადგენი კომისიის მუშაობის საანგარიშო მოხსენება. მოიწონა და დაავალა კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ პ. გელბახიანს გამოვიდეს სესიაზე ამ მოხსენებით.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივმა კომისიამ განიხილა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. მამულაძის მიერ წარმოდგენილი თანამოხსენება სესიისათვის საკითხზე „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების თაობაზე რესპუბლიკაში“. კომისიამ თანამოხსენება მოიწონა.

ამავე სხდომაზე კომისიებმა დაამტკიცეს 1965 წლის III და IV კვარტალის სამუშაო გეგმები.